ხელშეკრულება N 01/13
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 3 იანვარი, 2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ოთარ შამუგიას სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯეონეთი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ქევხიშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სარგებლობაში მქონე ცხელი ხაზის სატელეფონო ნომერზე - +995 32 2470101 და მოკლე ფორმატის ნომერზე 1-5-0-1 (ერთი-ხუთი-ნული-ერთი) სატელეფონო მომსახურების შესყიდვა.
1.2 კლასიფიკატორის კოდები: CPV – 64211100, 64211200, 64212000

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3 . მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან ელექტრონული ტენდერის დასრულებამდე (სატენდერო განცხადების NSPA170015874), მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, ახმეტელის 10ა - ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო".

4. მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების და ანგარიშსწორების წესი

4.1. მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 366,02 (სამას სამოცდაექვსი ლარი და 02 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
4.2 წუთების სავარაუდო რაოდენობები და მომსახურების ტარიფები მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს გაუხარჯავი წუთების ექვივალენტი თანხის გადატანა დანართ N1-ში მოცემული ცხრილის სხვა პოზიციაზე - ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდის გარეშე.
4.3 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დეტალური ამონაწერის საფუძველზე შემდგარი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები.
4.4 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.5 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.
4.6 ანგარიშსწორება განხორციელდება 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
4.7 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არ დაეთანხმება მიმწოდებლის მიერ 4.3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დეტალური ამონაწერის მონაცემებს, შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების შესაბამისი თვის მომსახურების ღირებულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია.
4.8 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს" საინფორმაციო სამსახურის უფროსი ია ჭუბაბრია ან/და ქოლ ცენტრის უფროსი თათული ტოხვაძე.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1 შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება;
5.1.2 გაუწიოს შემსყიდველს სატელეფონო მომსახურება დანართი N1 მითითებული ტარიფების შესაბამისად;
5.1.3 ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან, უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება 24 საათის განმავლობაში, ყოველ დღე, გარდა წინასწარ დაგეგმილი პროფილაქტიკური და აუცილებელი სარემონტო სამუშაოების შესრულებისა;
5.1.4 აწარმოოს შემსყიდველისადმი გაწეული მომსახურების აღრიცხვა და მიაწოდოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ანგარიში ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.
5.1.5 მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველის მიერ განხორციელებული სატელეფონო საუბრების მართლზომიერებაზე.
5.1.6 შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებინდან დაუყონებლივ მოახდინოს ყოველგვარი შეფერხებისა ან/და დაბრკოლების აღმოფხვრა საკუთარი რესურსით.

5.2. მიმწოდებელს აქვს უფლება:

5.2.1 შეუზღუდოს შემსყიდველს მომსახურების მიწოდება (შეუზღუდოს გამავალი ზარი) იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი დააგვიანებს მიწოდებული მომსახურების საფასურის გადახდას, რის შესახებაც მიმწოდებელი შემსყიდველს ატყობინებს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე. შეზღუდული მომსახურების აღდგენა ხორციელდება შეზღუდვის მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღის დასრულებამდე;
5.2.2 შეუწყვიტოს შემსყიდველს მომსახურების მიწოდება მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 5 (ხუთი) სამუშაო დღეში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1 დაიცვას მიმწოდებლის მიერ გამოყენებული ყველა ტექნიკური პროცედურა, რეკომენდაცია და მეთოდური მითითებები, რომლებსაც მიმწოდებელი წერილობით წარუდგენს შემსყიდველს;
5.3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გადაიხადოს გაწეული მომსახურების საფასური;
5.3.3 პასუხისმგებლი იყოს მის მიერ განხორციელებული სატელეფონო საუბრების მართლზომიერებაზე;
5.3.4 არ დაუშვას მიმწოდებლისგან მიღებული მომსახურების შემდგომი მიყიდვა/გადაცემა მესამე პირზე;
5.3.5 არ დაუშვას მიწოდებული მომსახურების ჩართვა ადგილობრივი, საერთაშორისო ფასიანი ტრაფიკის ტერმინაციის ან/და გადამისამართების სქემაში;
5.3.6 თავის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული სატელეფონო სადგურის (PBX, Asterisk და სხვა) დაცვისთვის მიიღოს ზომები, რათა არ მოხდეს მისი არასანქცირებული გამოყენება მიმწოდებლის საზიანოდ.

5.4. შემსყიდველს აქვს უფლება:

5.4.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
5.4.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს;
5.4.3 წარუდგინოს მიმწოდებელს წერილობითი პრეტენზიები წარდგენილ გადასახადებთან დაკავშირებით შესაბამისი დეტალური ამონაწერის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში; შემსყიდველის წერილობითი პრეტენზიის განხილვა და გადაწყვეტა ხორციელდება "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ " საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად პრეტენზიის რეგისტრაციიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში; მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველის პრეტენზია/საჩივარზე წერილობითი უარის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია წერილობითი უარი გაასაჩივროს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან/და სასამართლოში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
6.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
6.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხელშეკრულების 4.8 პუნქტში მითითებული პირები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის, არაჯეროვნად ან/და ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
7.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
7.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისთვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.
7.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
7.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტის მოთხოვნას, ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების მიხედვით ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.7 დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების მხარეების მიერ უნდა მოხდეს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.8 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს არ აქვს გადახდილი დაკისრებული პირგასამტეხლო სრულად, შემსყიდველი არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებულ ანგარიშსწორებას.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა, ემბარგოს დაწესება, ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
8.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
8.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 4 მარტის ჩათვლით.
9.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
11.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისთვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2 %-ს;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.6 ამ მუხლის 11.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო"
ს/კ 404923785
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში - GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი:
შპს „ჯეონეთი"
ს/კ: 204918321
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41
ტელ.: 247 00 00 ფაქსი: 247 00 01
ელ. ფოსტა: info@geonet.ge
ვები: www.geonet.ge
სს საქართველოს ბანკი, BAGAGE22
ა/ა GE43 BG0000000118402601

დირექტორის მოადგილე

ო. შამუგია

დირექტორი

ა. ქევხიშვილი

დანართი N1

წუთობრივი გადახდები (+995 32 2470101 - გამავალ ზარზე, 1-5-0-1 შემომავალ ზარზე)

N	გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი	სავარაუდო რაოდენობა (წუთი)	შემოთავაზებული ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სააბონენტო გადასახადი ორივე ნომერზე		0.00	0.00
2	გამავალი ადგილობრივი და საქალაქთაშორისო ზარი შიდა ქსელში	შეუზღუდავად	0.00	0.00
3	გამავალი ზარი შიდა მობილურ ქსელში (არსებობის შემთხვევაში)	შეუზღუდავად	0.00	0.00
4	გამავალი ადგილობრივი ზარი სხვა ოპერატორების ფიქსირებულ სადენიან და უსადენო ქსელში	400	0.0050	2.00
5	გამავალი საქალაქთაშორისო ზარი სხვა ოპერატორების ფიქსირებულ სადენიან და უსადენო ქსელში	45	0.00470	0.21
6	გამავალი ზარი საქართველოს მობილურ ოპერატორებთან - მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი	3,750	0.010	37.50
7	გამავალი ზარი საქართველოს სხვა (გარდა მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი) მობილურ ოპერატორებთან	25	0.020	0.50
8	გამავალი საერთაშორისო ზარი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სადენიან, უსადენო და მობილურ ქსელში	33	0.020	0.66
9	შემავალი ზარი 1501-ზე საქართველოს მობილური ოპერატორებიდან - მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი	15,000	0.0211060	316.59
10	შემავალი ზარი 1501-ზე საქართველოს სხვა (გარდა მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი) მობილური ოპერატორებიდან	33	0.020	0.66
11	შემავალი ზარი 1501-ზე თბილისის ფიქსირებული სადენიანი და უსადენო ქსელიდან	1,250	0.0050	6.25
12	შემავალი ზარი 1501-ზე საქართველოს რეგიონების სადენიანი და უსადენო ქსელიდან	330	0.0050	1.65
	სულ:			366.02

შემსყიდველი

ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დირექტორის მოადგილე

ო. შ

მიმწოდებელი

შპს „ჯეონეთი“

დირექტორი

ა. ქვეხიშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 3 იანვარი, 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო"-ს სარგებლობაში მქონე ცხელი ხაზის სატელეფონო ნომერზე - +995 32 2470101 და მოკლე ფორმატის ნომერზე 1-5-0-1 (ერთი-ხუთი-ნული-ერთი) სატელეფონო მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორის მოადგილე

ო. შამუგია -

საინფორმაციო სამსახურის უფროსი

ი. ჭუბაბრია -

ქოლ ცენტრის უფროსი

თ. ტოხვაძე -